

ელექტრონული მმართველობა როგორც მართვის მომავალი ფორმა და
მისი გამოწვევები: კიბერ უსაფრთხოება და ციფრული იდენტობის
ქურდობა

რატი მუხურამე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოში ელექტრონული მართვის და მმართველობის განვითარების განვლილი ეტაპები, ამჟამინდელი სტატუსი, სამომავლო პერსპექტივები და როგორც მისი პრობლემები, ასევე გამოწვევები. კერძოდ აქცენტი გაკეთებულია კიბერუსაფრთხოებაზე და იდენტობის მოპარვაზე. ნაშრომი განიხილავს ელექტრონული იდენტობის ქურდობასთან დაკავშირებულ მაგალითებს და მოყვანილია შემთხვევითი რეალური ექსპერიმენტი.

ნაშრომი შედგება სამი ნაწილისგან. პირველ ნაწილში საუბარია ელექტრონული მმართველობის და მისი მექანიზმების თავდაპირველ ადაპტაციაზე საქართველოში - დღემდე. განხილულია როგორც განვლილი ეტაპები, ასევე შესაძლებლობები.

მეორე ნაწილში განხილულია ელექტრონული მმართველობის არსებული ხარვეზები, რომლებიც დღეს ჩვენი მართვის სისტემებში ვლინდება და ასევე ახალი, შედარებით შეუმჩნეველი გამოწვევები: ელექტრონული იდენტობის ქურდობა და კიბერ უსაფრთხოება - რომლებიც წარმოადგენენ ელექტრონული მმართველობის მონეტის მეორე მხარეს. განხილულია ელექტრონული იდენტობის აღრევის და ქურდობის რამდენიმე მაგალითი საჯარო და მედია საშუალებებიდან მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებით. მეორე ნაწილი ასევე შეიცავს შემთხვევით ექსპერიმენტს, რომელიც განსაზღვრავს რამდენად მარტივია დღეს საქართველოში სხვისი ელექტრონული იდენტობის ასიმილაცია და გამოყენება.

მესამე ნაწილში წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები, სადაც შეჯამებულია საქართველოს ელექტრონული მმართველობის წინაშე არსებული გამოწვევები და შემოთავაზებულია კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც მთლიანობაში ელექტრონულ მმართველობასთან მიდგომის გაუმჯობესებას ემსახურება.